**სადაზღვეო დავებისათვის წესები**

**რომელიც წარმოადგენს დებულების განუყოფელ ნაწილს**

1. **დებულების 3-ე მუხლს დაემატოს „ნ“ ქვეპუნქტი:**

ნ) სადაზღვევო დავები: დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავები

2. **დებულების მე-15 მუხლს დაემატოს 15.9 პუნქტი:**

15.9. სადაზღვევო დავებზე, DRC-ის სასამართლო როგორც წესი, არბიტრად ნიშნავს პირს, რომელიც DRC-ის არბიტრთა სიაში რეგისტრირებულია სადაზღვევო სფეროში არსებული დავების განმხილველ არბიტრად.

**3. დებულების 33-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:**

ბ. საარბიტრაჟო დავა წარმოშობილია საბაკო გარანტიის, საკრედიტო, ან/და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობიდან (გირაო, იპოთეკა, თავდებობა, მოვალის გარანტია და სხვ.) მიუხედავად სასარჩელო მოთხოვნის ოდენობისა.

**4. დებულების 33-ე მუხლს დაემატოს „დ“ ქვეპუნქტი:**

დ. სადაზღვევო პოლისის პრემიის გადახდასთან და მისი უზრუნველყოფის საშუალებებთან დაკავშიერბული დავები, მიუხედავად სასარჩელო მოთხოვნის ოდენობისა.

**5. DRC-ის დებულების დანართი #1 სასამართლოს სტატუსი და შიდა რეგლამენტის მე-5 მუხლს დაემატოს 5₁ მუხლი**

მუხლი 5₁. სასამართლოს კომიტეტი სადაზღვევო დავებზე და მისი ფუნქციები:

1. სადაზღვევო დავებზე DRC -ის სასამართლოს კომიტეტის შემადგენლობა; სადაზღვევო დავებზე DRC-ის სასამართლოს კომიტეტი შედგება DRC-ის სასამართლოს თავმჯდომარის, სასამართლოს ერთი წევრის და სადაზღვევო დავებისთვის დამტკიცებული სასამართლოს წევრებისაგან.

2. სადაზღვევო დავებზე DRC -ის სასამართლოს კომიტეტის ფუნქციები:

ა. სადაზღვევო დავებზე DRC–ის არბიტრთა სიის დამტკიცებაში მონაწილეობა;

ბ. სადაზღვევო დავებზე საარბიტრაჟო განხილვის პროცესში შექმნილი პრაქტიკის გამოქვეყნება;

გ. სპეციფიკური საქმეების საარბიტრაჟო განხილვის მეთოდიკის, სახელმძღვანელო წესების შედგენა;

დ. სადაზღვევო დავებზე ტრიბუნალის დანიშვნა, აცილება.

გ. ტრიბუნალის გადაწყვეტილების ფორმალური შემოწმება სადაზღვევო დავებზე.